# დაუგეგმავი ორსულობის გამოწვევები

კონტრაცეფციის საერთაშორისო დღის კოალიციის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს გონივრულად დაგეგმონ თავიანთი მომავალი, თავიდან აირიდონ არასასურველი ორსულობა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებები.

**კოალიციის დევიზია - „ეს შენი სიცოცხლეა, ეს შენი მომავალია“.**

## კონტრაცეპციის საერთაშორისო დღე

World Contraception Day (WCD) Coalition

კონტრაცეფციის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად 26 სექტემბერს აღინიშნება  და ორიენტირებულია ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, სადაც ყველა ორსულობა სასურველია. WCD კოალიციის მთავარი მიზანია  კონტრაცეფციის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. შედეგად, ახალგაზრდა თაობას - მიუხედავად მათი სქესის,  ოჯახური მდგომარეობისა და სექსუალური ცხოვრებისა - უნდა შეეძლოს გათვითცნობიერებული არჩევანის გაკეთება თავიანთი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ.

# პრობლემის მასშტაბურობა

მიუხედევად მუდმივი მცდელობისა შემცირდეს დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობა, მსოფლიოში დაუგეგმავი ორსულობის შემთხვევათა სიხშირე მაინც მაღალია.

## შედეგები საყურადღებოა:

**დაუგეგმავი ორსულობის სიხშირე**

- მსოფლიოში ყოველწლიურად ორსულობის 208 მილიონი შემთხვევიდან 41% დაუგეგმავია, აქედან თითქმის ნახევარი სრულდება აბორტით.
- 33 მილიონი არასასურველი ორსულობა  კონტრაცეპტივების არასწორი ან საერთოდ მათი არ-მოხმარების შედეგია.
- ყოველწლიურად 15 მილიონზე მეტი გოგონა 15-დან 19 წლამდე ასაკში აჩენს ბავშვს. მშობიარობასთან დაკავშირებულ გარდაცვალებას წამყვანი ადგილი უკავია 15-დან 19 წლამდე გოგონათა სიკვდილის  მიზეზებს შორის.
- ყოველწლიურად 188 მილიონი დაუგეგმავი ორსულობის თავიდან არიდებაა შესაძლებელი.
- კონტრაცეპტივების გამოყენების შედეგად მივიღებთ:  112 მილიონით ნაკლებ აბორტს, ახალშობილთა გარდაცვალების 1.1 მილიონით ნაკლებ შემთხვევას, და დედათა სიკვდილის 150 000-ით ნაკლებ შემთხვევას.
- განვითარებად ქვენებში მცხოვრები რეპროდუქციული ასაკის ქალთა ნახევარზე მეტს, რაც დაახლოებით 867 მილიონს შეადგენს, სურს ორსულობისგან თავის დაცვა. მათგან 222 მილიონ ქალს არ მიუწვდება ხელი თანამედროვე კონტრაცეპტიულ საშუალებებზე. კონტრაცეპტივებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება დამატებით 53 მილიონი დაუგეგმავი ორსულობის თავიდან აცილება .

**დაუგეგმავი ორსულობის შედეგები:**

- დაუგეგმავი ორსულობა წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, რამდენადაც იგი პირდაპირ კავშირშია დამატებით სამედიცინო და სოციალური მომსახურების ხარჯებთან, და ასევე, მნიშვნელოვან ემოციურ სტრესს აყენებს ორსულ ქალებს და მათ ოჯახებს. ამას ემატება ის ფაქტი, რომ თინეიჯერი დედების შვილები მეტ წინააღმდეგობას ხვდებიან ცხოვრებაში, მათ შორის: შეზღუდული შესაძლებლობები, ქცევითი პრობლემები და დაბალი აკადემიური მაჩვენებლები.
- 1990-იან წლებში რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის სფერომ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა, თუმცა განვითარებად ქვეყანაში პროგრესი ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა.
- კვლევებმა აჩვენა, რომ განვითარებად ქვეყნებში მეტი სიცოცხლის გადარჩენა და 1.5 მილიონი დოლარის დაზოგვაა შესაძლებელი იმ შემთხვევაში, თუ დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სერვისების დაფინანსებასთან ერთად მოხდება ოჯახის დაგეგმვის სერვისების განვითარების ფინანსური მხარდაჭერა.

იმ განვითარებად ქვეყნებში, სადაც WCD (World Contraception Day - მსოფლიო კონტრაცეფციის დღე) კოალიცია ახორციელებს თავის საქმიანობას, ახალგაზრდა თაობა იღებს ინფორმაციას უახლესი, ეფექტური და მათთვის ხელმისაწვდომი კონტრაცეპტივების შესახებ.

## WCD კოალიციის ხედვა დაუგეგმავი ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების ძირითადი საკითხების შესახებ:

მიუხედავად იმისა, რომ დაუგეგმავ ორსულობასთან და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული პრობლემები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, არის ძირითადი საკითხები, რაც გლობალურ მიდგომებს საჭიროებს.

1. **ახალგაზრდების სქესობრივი სქესობრივი განათლება:**
   ახალგაზრდების დიდი ნაწილისათვის არ არის ცნობილი კონტრაცეპტიული საშუალებების შესახებ ან ფლობენ მცდარ ინფორმაციას და უნდობლობას იჩენენ მის მიმართ. ინფორმაციის მიღება აღნიშნულ საკითხის შესახებ სხვადასხვა სირთულესთან არის დაკავშირებული. ხშირად პირები, რომლებიც ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ, მაგალითად მშობლები, მასწავლებლები და სამედიცინო პერსონალი არ ფლობენ საჭირო ინფორმაციას კონტრაცეპტივების აუცილებლობის შესახებ, რაც თავის მხრივ ქმნის კომუნიკაციის პრობლემას. პრობლემა გასაკუთრებით მწვავედ დგას სოფლად და დაბალ სოციალურ-ეკონომიურ გარემოში.

2. **რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე და კონტრაცეპტიულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა:**
   ახალგაზრდები, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ მაღალხარისხიან სამედიცინო სერვისებსა და კონტრაცეპტიულ საშუალებებზე, ხშირად დგებიან მრავალი გამოწვევის წინაშე.
   ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და სხვა გავლენიანმა პირებმა უნდა იზრუნონ ახალგაზრდებს მიაწოდონ ინფორმაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კონტრაცეპტიული საშუალებების შესახებ, ყოველგვარი განკითხვისა და დისკრიმინაციის გარეშე. აუცილებელია მთავრობამ გაატაროს პოლიტიკა ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებისა და შესაბამის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

3. **კულტურულ და სოციალურ აკრძალვებზე ყურადღების გამახვილება:**

ზოგჯერ კულტურული და სოციალური ჩვეულებები უკრძალავს დასაოჯახებელ ახალგაზრდა ქალებს სქესობრივი ცხოვრების დაწყებას, ან საერთოდ სქესობრივ ურთიერთობებზე საუბარს საზოგადოებაში, ოჯახსა და სამედიცინო დაწესებულებებში. ზოგიერთ რეგიონში ჯანდაცვის წარმომადგენლები საკუთარი მორალური პრინციპების გამო უარს ამბობენ ახალგაზრდები უზრუნველყონ კონტრაცეპტივებით. შედეგად, ახალგაზრდა თაობა თავს არიდებს კონტრაცეპტივების გამოყენებას იმის შიშით, რომ გახდებიან განკითხვისა და დამცირების ობიექტები. პრობლემას წარმოადგენს კონფიდენციალურობის საკითხიც.

4. **გენდერულ უთანასწორობაზე რეაგირება:**
   გენდერულ უთანასწორობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სქესთა შორის ურთიერთობაზე. იგი, ძალადობის სახით, წარმოადგენს მზარდ საფრთხეს მსოფლიოს მასშტაბით. კომუნიკაციის დეფიციტი და სხვადასხვა სერვისებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა ახალგაზრდა ქალებს არასასურველი ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების განვითარების საფრთხის წინაშე აყენებს. პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია შესაბამისი ცოდნის მიწოდება, რათა აკონტროლონ საკუთარი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მამაკაცების ჩართულობა ოჯახის დაგეგმვის საკითხებში.

# რეალური ისტორიები დაუგეგმავი ორსულობის შესახებ

შემთხვევის კვლევა

## აკონტროლეთ თქვენი ცხოვრება

ბაგოს ღარიბულ კვარტალში მცხოვრები **16 წლის მაია**, რომელიც დაქორწინდა 13 წლის ასაკში და 14 წლისამ, თვითონ ბავშვმა, პირველი ბავშვი გააჩინა. მისი გადმოცემით, მას არავინ არ ჰყავდა, ვინც ადრეულ ასაკში დაორსულების შესახებ ინფორმაციის მიაწვდიდა. საერთაშორისო ჯანდაცვის მუშაკის დახმარებით მან მიიღო ინფორმაცია დაუგეგმავი ორსულობის თავიდან აცილების სხვადასხვა მეთოდების შესახებ. მას შემდეგ, იგი თავად მართავს საკუთარ რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, რაც საშუალებას აძლევს იცხოვროს აქტიური ცხოვრების წესით. მაია კონტრაცეპტიული საშუალებების გამოყენებას მწყურვალისთვის წყლის მიცემასთან აიგივებს.

# ცოდნა ძალაა

44 წლის ინგრიდ იდალია მონტეს ალვარადო შვიდი შვილის დედაა გვატემალას ღარიბი რაიონიდან. მეექვსე შვილის შეძენის შემდეგ მან და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს აღარ ჰყოლოდათ მეტი შვილი სოციალური და ეკონომიური პრობლემების გამო. თუმცა, კონტრაცეპტივების შესახებ ინფორმაციის სიმცირის გამო, ინგრიდი დაორსულდა მეშვიდე ბავშვზე. სიტუაცია მას შემდეგ გამოსწორდა, რაც ინგრიდმა საინფორმაციო ბროშურის და კონსულტაციის გავლის შედეგად შეიტყო გრძელვადიანი კონტრაცეპტიული საშუალებების არსებობის შესახებ. საშვილოსნოს შიდა სპირალის გამოყენების შემდეგ იგი აღარ დაორსულებულა და არ ჰქონია არანაირი გვერდითი მოვლენა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგრიდის და მისი მეუღლის შემთხვევა არ არის ერთადერთი. გათხოვილ ქალთა 20.8%-ს გვატემალაში, ისევე როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, სურთ გამოიყენონ კონტრაცეპტიული საშუალებები, მაგრამ მათ ამის საშუალება არ აქვთ.

## სამოქმედო პროგრამა

მიუხედავად ბოლო წლებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში არსებული პროგრესისა, კონტრაცეფცია ბევრი ახალგაზრდისთვის მიუწვდომელი რჩება, რის შედეგადაც ყოველწლიურად ადგილი აქვს მილიონობით დაუგეგმავ ორსულობისა და აბორტის შემთხვევას. WCD კოალიციის მიზანია, რეპროდუქციული სქესობრივი ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რათა ახალგაზრდებმა იცხოვრონ სავსე და ჯანსაღი ცხოვრებით. WCD კოალიცია მოუწოდებს მთავრობებს, თემის ლიდერებს, ჯანდაცვის მუშაკებს, მასწავლებლებს, რათა დაეხმარონ ახალგაზრდებს კონტრაცეპტივების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში.

**ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კომიტეტებმა საერთაშორისო და ადგილობრივ დონეებზე აქცენტი უნდ გააკეთონ შემდეგ პრიორიტეტებზე:**

1. **ცოდნა ძალაა.** კონტრაცეფციის შესახებ ცოდნის ამაღლებისთვის აუცილებელია ახალგაზრდების სქესობრივი განათლებისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოხდეს შესაბამის ასაკში.

2. **უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრება გადაარჩენს სიცოცხლეს.** ახალგაზრდები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მაღალი ხარისხის, კონფიდენციალური რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებით, რათა ცოდნა და რესურსები მოახმარონ საკუთარ რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

3. **სქესობრივი ცხოვრება არ არის მხოლოდ რეპროდუქცია (გამრავლება).** ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ესაუბრონ ჯანდაცვის მუშაკებს ცრურწმენებსა და არასწორ შეხედულებებზე, რაც სქესობრივი ცხოვრებისა და კონტრაცეფციის მიმართ არსებობს.

4. **გენდერული თანასწორობა პრობლემის გადაჭრის გასაღებია.** აუცილებელია ახალგაზრდების გათვითცნობიერება ისეთ საკითხებში, როგორიცაა: გენდერული თანასწორობა, სქესობრივი განათლება, ოჯახის დაგეგმვა და მათი უფლება-მოვალეობები.

http://www.your-life.com/en/for-doctors-parents-etc/about-wcd/